

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-ნოემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 8 853 439.9 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 7 600 906.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 186 694.1 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 69 994.0 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 995 845.9 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-ნოემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (7 600 906.0 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (8 555 000.0 ათასი ლარი) 88.8%;

– გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 7 980 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 7 178 452.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 90%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 066 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 769 057.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.3%–ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 086 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 867 045.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 89.5%.

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (902 011.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (980 000.0 ათასი ლარი) 92%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 3.7 ათასი ლარი.

– წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 4 814 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4 009 122.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 83.3%–ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 802 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 029 465.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 79.7%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 979 657.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 012 000.0 ათასი ლარი) 96.8%–ია;

– წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 75 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 63 664.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.9%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ნოემბერში შეადგინა 336 605.5 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 255 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 173 487.0 ათასი ლარი (რაც გეგმის 68%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 97 623.2 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 7 737.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 22 842.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 45 283.6 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 320 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 248 966.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 77.8%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 17 100.6 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-ნოემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (186 694.1 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (225 000.0 ათასი ლარი) 83%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (30 308.9 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (73 000.0 ათასი ლარი) 41.5%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (156 385.2 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (152 000.0 ათასი ლარი) 102.9%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 682.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 134.1%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 153 702.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (150 000.0 ათასი ლარი) 102.5%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 69 994.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 77.8%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 69 271.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 77%;

აქციები და სხვა კაპიტალი - 718.5 ათასი ლარი;

სხვა დებიტორული დავალიანების სახით ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა – 3.7 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 995 845.9 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 275 000.0 ათასი ლარის 78.1%-ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 349 020.8 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 646 825.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 075 000.0 ათასი ლარი) 60.2%-ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 646 825.0 ლარი (რაც გეგმის – 680 000.0 ათასი ლარის 95.1%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 392 890.9 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 253 934.1 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 275 632.9 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწვევის შესაბამისად, ხდება

კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-ნოემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 236.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 დეკემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 430 936.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 430 937.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 409.7 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 185 000.0 ათასი ლარი, სახაზინო

ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 191 424.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 7 600 906.0 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 8 555 000.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 7 722 191.9 ათასი ლარი (წლიური გეგმა 8 589 380.4 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -121 285.9 ათასი ლარი (უარყოფით), წლიური გეგმა -34 380.4 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 388 170.6 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 186 694.1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 574 864.6 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -509 456.5 ათასი ლარი(უარყოფითი), წლიური გეგმა -515 373.1 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 10 145 000.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 9 335 000.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 810 000.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 9 604 675.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 9 044 864.8 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 8 250 499.2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 794 365.5 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 94.2%, ხოლო გეგმის 89.2%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-ნოემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 91.2%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 8.8%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ნოემბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 444 158.9 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 407 628.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 317 460.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 91.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 055 639.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 1 049 780.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 986 097.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 93.4%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებულია 415 759.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 386 358.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 370 539.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.1% და ვალდებულების 95.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 192 372.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (202 696.1 ათასი ლარი) 94.9%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 178 167.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (183 662.3 ათასი ლარი) 97%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის გეგმამ შეადგინა 307 675.6 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 298 572.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 293 357.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.3%-ს და გეგმის 95.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით განისაზღვრა 45 278.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 45 196.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8% და ვალდებულების (45 196.8 ათასი ლარი) 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის გეგმამ შეადგინა 961 417.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 814 080.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (840 769.3 ათასი ლარი) 96.8% და საგეგმო მაჩვენებლის 84.7%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-ნოემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 778 200.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (801 778.5 ათასი ლარი) 97.1%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-ნოემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 832 945.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (3 046 791.1 ათასი ლარი) 93% და საგეგმო პარამეტრის (3 096 071.4 ათასი ლარი) 91.5%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით განისაზღვრა 2 266 779.0 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 2 047 641.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.3%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 431 441.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 567 196.0 ათასი ლარი) და გეგმის 91.3%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 671 136.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 593 135.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.4% და ვალდებულების (665 330.6 ათასი ლარი) 89.1%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 780 425.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 739 975.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.8% და ვალდებულების (740 771.8 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის გეგმა განისაზღვრა 1 308 657.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 186 910.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 107 711.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.3%-ს და გეგმის 84.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 510 524.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 470 972.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.3% და ვალდებულების (506 644.4 ათასი ლარი) 92.7%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 49 284.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 49 284.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 49 284.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის გეგმით განისაზღვრა 705 992.6 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 589 372.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 574 864.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.5%-ს და გეგმის 81.4%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 423 685.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 373 384.0 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (370 888.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.3% და საგეგმო მაჩვენებლის – 87.5%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განისაზღვრულია 448 830.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 449 149.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და

გადახდამ შეადგინა 422 376.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94%-ს და გეგმის – 94.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 22 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და გეგმის 95.5%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 28 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 000.0 ათასი ლარი) 66.7%-ია, ხოლო ვალდებულების 67.8%; ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 19 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის გეგმით განსაზღვრულია 400 796.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 349 343.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 325 431.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.2%-ს და გეგმის 81.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 274 722.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (291 592.2 ათასი ლარი) 94.2%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 50 708.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (57 751.0 ათასი ლარი) 87.8%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 23 638.5 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 5 991.4 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 14 300.5 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 236.9 ათასი ლარი;
- „საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ – 3 109.7 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი

დეკემბრისთვის შეადგინა 246.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 8 297 056.6 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 559 745.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 805 926.7 ათასი ლარი) 86.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 303 436.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (366 742.0 ათასი ლარი) 82.7% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 19.5%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 370 479.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (415 700.0 ათასი ლარი) 89.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 23.8%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით გათვალისწინებულია 639 864.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 651 250.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (8 297 056.6 ათასი ლარი) 7.9%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 017 377.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 897 744.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 511 837.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (561 748.2 ათასი ლარი) 91.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (94 634.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (113 794.8 ათასი ლარი) 83.2%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 108 322.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (138 123.5 ათასი ლარი) 78.4%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 131 443.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 950 551.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (55 468.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (66 790.7 ათასი ლარი) 83.1%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (212 301.1 ათასი ლარი), გეგმის (236 163.8 ათასი ლარი) 89.9% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 637 989.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 533 041.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.6%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებულია 56 186.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 42 733.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76.1%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებულია 51 997.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 42 200.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81.2%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 30 600.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 23 873.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 78%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის გეგმით განსაზღვრულია 898 036.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 849 316.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.2%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 647 440.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (628 875.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 97.1%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (137 512.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (142 215.7 ათასი ლარი) 96.7%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 35 941.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (43 687.7 ათასი ლარი) 82.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 227 278.0 ათასი ლარით, რაც 2016 წლის გეგმიური მაჩვენებლის (240 036.5 ათასი ლარი) 94.7%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 45 159.5 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (40 467.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 89.6%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით 1 046 782.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 878 429.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.9% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.6%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 476 705.2 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (517 763.0 ათასი ლარი) 92.1%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 96 733.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (129 959.3 ათასი ლარი) 74.4%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრულია 2 407 721.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 197 807.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.5%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 575 819.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 437 954.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 602 088.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (681 849.9 ათასი ლარი) 88.3%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდაექვს შემთხვევაში შეადგინა სულ 4 425.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 4 097.3 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 328.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდაათ შემთხვევაში შეადგინა სულ 150 673.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 142 133.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 8 540.0 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაექვს შემთხვევაში შეადგინა სულ 268 386.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 254 289.7 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 დეკემბრისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 14 097.2 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორ შემთხვევაში შეადგინა სულ 12 709.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 11 434.7 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 დეკემბრისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 275.1 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 46 829.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 46 689.9 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 8 105.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 7 509.7 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40 000.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 25 073.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 073.1 ათასი ლარი); სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – 625.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 625.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 3 268.9 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 3 268.9 ათასი ლარი), სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას 10.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 10.0 ათასი ლარი); ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 11 023.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 10 673.0 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 2 003.1 ათასი ლარი, ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1 942.9 ათასი ლარს, ხოლო მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარს.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ქრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 10 673.0 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.